**ღვინის ფილტრაციის დროს მეორე მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს გაფილტვრის სიჩქარე ანუ წარმადობა [3, 4.** ჩვენ მიერ სპეციალურად შერჩეულ იქნა ზემოთ აღნიშნული ახლად დაყენებული ღვინოები („ცოლიკაური“ და ღვინოები იყო 1 თვის და „იზაბელა“ – 3 თვის) იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მემბრანების სწრაფად გაბინდვა (ღვინოში არსებული შენონილი ნივთიერებების მემბრანის ზედაპირზე გამოლექვა) და შეგვესწავლა მემბრანის რეგენერაცია მათი მრავალჯერადი გამოყენების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ასაკოვანია ღვინო, მით უფრო მაღალია მემბრანის წარმადობა და მცირეა ფილტრაციის სიჩქარის შემცირება [3].

დასაწყისში მემბრანაზე გავატარეთ დისტილირებული წყლის ჭავლი, რათა დაგვედგინა გარკვეული წნევის პირობებში მემბრანის დეფორმაციის შესაძლებლობა. როგორც ნახ. 2-დან ჩანს, დასაწყისში მემბრანის წარმადობა 8 საათში 3,6-ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ მუდმივი გახდა. მეორე დღეს, დასაწყისში წარმადობა 1,85-ჯერ შემცირდა, ე.ი. წყლის ჭავლით გამოწვეული მემბრანების შეუქცევადი დეფორმაცია თითქმის ორჯერ ამცირებს ამ უკანასკნელის წარმადობას. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის სტაბილურობა მიიღწეოდა დისტილირებული წყლის 1000 ლ/სთ (1მ<sup>2</sup> მემბრანაზე) სიჩქარით გატარების პირობებში. ღვინის ფილტრაციის დროს წარმადობის მკვეთრი დაცემა, როგორც ჩანს, განპირობებულია ღვინის სიმღვრივის ზრდით.

წარმადობა ლ/სთ-ში კვ.მ




დრო, საათი

- ნახაზი 1. მიკროფილტრაციული მემბრანის წარმადობის დამოკიდებულება დროზე:
- მემბრანის წარმადობის ცვლილება დისტილირებული წყლის ფილტრაციისას
  - - - - მემბრანის წარმადობის ცვლილება ღვინო „იზაბელას“ ფილტრაციისას
  - მემბრანის წარმადობის ცვლილება ღვინო „ცოლიკაურის“ ფილტრაციისას

ექსპერიმენტული მონაცემების შედეგად დავადგინეთ სარეგენერაციო ხსნარი და მისი ოპტი-  
 მალური კონცენტრაცია, რომლის საშუალებითაც ვახდენდით მემბრანების წარმადობის სრულ  
 აღდგენას. როგორც ნახ. 2-დან ჩანს, მემბრანების აღდგენას „ცოლიკაურის“ შემთხვევაში, მემ-  
 ბრანა რეგენერაციას საჭიროებდა ყოველი 10 საათის ფილტრაციის შემდეგ, ხოლო „იზაბელას“  
 ფილტრაციის დროს – 20 საათის შემდეგ. ექსპერიმენტით დავადგინეთ, რომ მემბრანების მრავ-  
 ვალჯერადი რეგენერაციის შემდეგ ფილტრაციის მაჩვენებლები ფაქტიურად არ იცვლება (ნახ. 2).  
 აღსანიშნავია, რომ 0,1 მკმ და 0,2 მკმ საშუალო ფორიანობის მიკროფილტრებით თეთრი და წითე-  
 ლი ღვინოების განმენდისას წარმადობა შესაბამისად შეადგენდა 100 ლ/სთ. ექსპლოატაციის შემ-  
 დეგ მემბრანის წარმადობის სრული აღდგენა მიიღწეოდა ჰიპოქლორიდის 20% წყალხსნარით მი-  
 სი დამუშავებით. ფილტრაციის შემდგომ, ჰიპოქლორიდის სრულად გამოდევნას აპარატიდან ვახ-  
 დენდით გამდინარე სუფთა წყლით 40 წთ-ის განმავლობაში.

წარმადობა ლ/სთ-ში კვ.მ



ნახაზი 2. მიკროფილტრაციული მემბრანის აღდგენა მრავალჯერადად  
 ღვინის ფილტრაციის შემდეგ ნატრიუმის ჰიპოქლორიდის ხსნარით:  
 — ღვინო „იზაბელა“  
 ... ღვინო „ცოლიკაური“  
 (აბსცისათა ღერძის მეორე ხაზზე დრო შეესაბამება ღვინოს „იზაბელა“)

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილია, რომ  
 გავრცელებული დაავადებების 80%-ს იწვევს დაბინძურებული სასმელი წყლის გამოყენება.

სასმელი წყლის ხარისხის შეფასებისას უმთავრესია მისი ბაქტერიოლოგიური უსაფრთხოება,  
 ქიმიური შედგენილობა და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

სასმელი წყლის გაუსნებოვნებისათვის ამჟამად ფართოდ გამოიყენება დაქლორვა და ოზონი-  
 რება. როგორც ცნობილია, ქლორი კლავს მიკროორგანიზმებს, ისინი რჩებიან წყალში და ხდება  
 მათი გახრწნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქლორი წყალში წარმოქმნის ტოქსიკურ ქლორორგა-  
 ნულ ნაერთებს, ხოლო ნარჩენი, ქარბი ქლორი აუარესებს წყლის გემოსა და სუნს.



ცხრილი 1. ღვინო „იზაბელას“ მიკრობიოლოგიური მდგრადობა

გავრცელებული მიკროორგანიზმების რაოდენობა დროში, სთ	გაუფილტრავი ღვინო „იზაბელა“						გაფილტრული ღვინო „იზაბელა“					
	მიკროორგანიზმების რაოდენობა საკვებ არეში ჩათესვისას		შეფასება	მიკროორგანიზმების რაოდენობის განსაზღვრა მიკროსკოპით		შეფასება	მიკროორგანიზმების რაოდენობა საკვებ არეში ჩათესვისას		შეფასება	მიკროორგანიზმების რაოდენობის განსაზღვრა მიკროსკოპით		
	საფუარა სოკოები	ძმარმყავა ბაქტერიები		საფუარა სოკოები	ძმარმყავა ბაქტერიები		საფუარა სოკოები	ძმარმყავა ბაქტერიები		საფუარა სოკოები	ძმარმყავა ბაქტერიები	
24 48 72 96 120 144	სიმღვრივე არ შეიმჩნევა	სიმღვრივე არ შეიმჩნევა	მდგრადია	0	0	მდგრადია	სიმღვრივე არ შეიმჩნევა	სიმღვრივე არ შეიმჩნევა	მდგრადია	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	
168 192 216	სიმღვრივე ოდნავ შეიმჩნევა	სიმღვრივე ოდნავ შეიმჩნევა	არამდგრადია	0-2	0-2	ინფიცირებული						
240 264 288 312 336 360	შეიმჩნევა ძლიერი სიმღვრივე	შეიმჩნევა ძლიერი სიმღვრივე		1-3	1-3	დაავადებული						
				5-10	5-10							

მემბრანული ტექნოლოგიით შესაძლებელი გახდა სასმელ წყალში არა მარტო მიკროორგანიზმების გაუვნებლყოფა, არამედ მასში არსებული გაუხსნელი კოლოიდური და შენონილი ნივთიერებების გამოდევნა. თუმცა, მემბრანული ფილტრაციით სასმელი წყლის განმეხრედა ჯერ კიდევ შეზღუდულია. ეს განპირობებულია მემბრანების ზედაპირზე გამოლექილ სასმელ წყალში შენონილი თიხების მოშორების სიძნელით, რაც მემბრანული აპარატის ერთჯერადად გამოყენების საშუალებას იძლევა და იწვევს სასმელი წყლის გაძვირებას.


ჩვენ მიერ ფთოროპლასტის ბაზაზე დამზადებული მემბრანის გამოყენებამ არსებული აპარატების მრავალჯერადად გამოყენების და მათი მუშაობის გახანგრძლივების საშუალება მოგვცა. გარდა ზემოაღნიშნულისა, აგრესიული რეგენერატების (ჰიპოქლორიტის და HF-ს წყალხსნარები) გამოყენების შესაძლებლობამ საშუალება მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მემბრანის შეუცვლელად მიგველო ფიზიკურ-ქიმიურად და ბიოლოგიურად სუფთა წყალი ისე, რომ მასში შენარჩუნებული ყოფილიყო სასიცოცხლო ფიზიოლოგიური ფუნქციის მატარებელი მინერალური მარილები, რასაც შეიცავს სასმელი წყალი მის გაფილტვრამდე.

ცხრ. 2-ში მოცემულია სასმელი წყლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ფილტრაციამდე და ფილტრაციის შემდეგ. როგორც ცხრ. 2-დან ჩანს, გაუფილტრავი წყლის სიმღვრივე საკმაოდ მაღალია, რაც იწვევს მემბრანის წარმადობის მკვეთრად შემცირებას. რაც შეეხება გაუფილტრავი წყლის მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს, ისინი ძირითადად აკმაყოფილებენ მისდამი წყენებულ შესაბამის მოთხოვნებს [7].

**ასევე დადებითი შედეგები იქნა მიღებული** ჩაის ექსტრაქტის (მემბრანის სრული რეგენერაცია ხდება ჩვენს მიერ შემუშავებული გამხსნელთა ნარევით – უტ-8), აგრეთვე სხვადასხვა სამკურნალო მცენარეთა ექსტრაქტების, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების [6] და სამედიცინო პრეპარატების ფილტრაციისას. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ფილტრაციის შემდეგ მემბრანების რეგენერაცია ხდება მაღალი კონცენტრაციის მინერალური მჟავებით, ტუტეებით და საბოლოო სტერილიზაციისთვის – გადახურებული წყლის ორთქლით. ამასთან, მემბრანის მრავალჯერადად რეგენერაციისას მისი ძირითადი ტექნიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლები არ უარესდება.

**ცხრილი 2. სასმელი წყლის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი ფილტრაციამდე და ფილტრაციის შემდეგ**

სიმღვრივე (მგ/ლ)		კოლი-ინდექსი	
ფილტრაციამდე	ფილტრაციის შემდეგ	ფილტრაციამდე	ფილტრაციის შემდეგ
0,25	0,00	240	<3
2,0	0,00	21	<3
2,0	0,00	>1100	3
2,0	0,00	460	<3
2,0	0,00	>1100	3
2,0	0,00	>1100	<3
0,75	0,00	<3	<3



ნახაზი 3. მიკროფილტრაციული მემბრანის წარმადობა სასმელ წყალზე რეგენერაციამდე (—) და მრავალჯერადი რეგენერაციის შემდეგ (---)

#### ლიტერატურა:

1. М. Мулдер. Введение в мембранную технологию. Пер. с английского. Под ред. Проф. Ю.П. Ямпольского и к.х.н. В.П. Дубяги. Москва, «Мир», 1999, гл. 3;
2. Raul Gotsiridze & Nodar Lekishvili. The Production of Universal Thermal and Chemically Stable Microfiltration Membranes and their Usage by Different Liquid Filtration Systems. Conference (with international invitation): “Compounds & Materials with Specific Properties”. Book of Abstracts, Tbilisi, 8-9 June, 2007, p. 7.
3. Wine Marketing. <http://www.ukrwine.com.ua/index/ru/news/2005/12/07/711>
4. Виноделие и виноградарство в Молдове. [www.vinmoldova.rus/section/547/](http://www.vinmoldova.rus/section/547/).
5. Продукция и оборудование для виноделия. [www.almash.net.md/produkts3.html](http://www.almash.net.md/produkts3.html).
6. ს. ბარბაკაძე, დ. ზურაბიშვილი, ი. სადათერაშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ლობჯანიძე, ნ. ლეკიშვილი. ანტიკლემინტური აქტიურობის მქონე ახალი ტიპის ადამანტანშემცველი ანილიდები და ნიტროანილიდები: სინთეზი, თვისებები და გამოყენება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე 2007 (წარდგენილია).

### THE PRODUCTION OF UNIVERSAL, THERMAL- AND CHEMICALLY STABLE MICROFILTRATION FLUORINEORGANIC MEMBRANES AND THEIR APPLICATION FOR THE FILTRATION OF DIFFERENT LIQUID SYSTEMS

R. GOTSIRIDZE<sup>1</sup>, N. LEKISHVILI<sup>2</sup>, KH. BARBAKADZE<sup>2</sup>

<sup>1</sup> Batumi State University, Faculty of Engineering and Technology,  
Scientific-Research Institute of Membrane Technology

<sup>2</sup> Ivane Javakhishvili Tbilisi State University

#### Summary

Universal, thermal and chemically stable microfiltration fluorine-organic membranes with various porosity (0.1÷0.4μm) based on industrial polymer – fluoroplast-4 have been created. It was established that the obtained membranes can be successfully used for the filtration of various liquid systems – drinking water, national wines, extracts of herbs, biologically active compounds and medical preparations.

**მათემატიკური მეცნიერებების  
d- და f-ელემენტების ქიმიის  
საბაკალავრო კურსის სწავლებისათვის**

**ზ. მარაიძე, ქ. გომრეაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გარდამავალი d – სერიის ელემენტების განლაგება პერიოდულ სისტემაში განპირობებულია  $(n-1)d$  და  $ns(n=4,5,6,7)$  ორბიტალების ენერგეტიკული მდგომარეობის სიახლოვით. აუცილებელია აღინიშნოს ამ ელემენტების დამახასიათებელი საერთო თვისებები: ყველა მათგანს ახასიათებს ცვალებადი ჟანგვის ხარისხი, დიდი სიმამრე; როგორც წესი ღრუბლებიან მაღალ ტემპერატურაზე და ახასიათებთ ატომიზაციის მაღალი ენერგია. ზოგ მათგანს ახასიათებს მაღალი ელექტროგამტარობა (Cu, Ag), ზეგამტარობა (Nb) და ფერომაგნიტიზმი (Fe, Co, Ni). მათი რეაქციისუნარიანობა მთავარი ქვეჯგუფის მეტალებთან შედარებით დაბალია. სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების მწკრივში მათი უმეტესობა წყალბადის შემდეგ დგას (გარდა 3d-ელემენტების, თუთიისა და კადმიუმისა).

d-სერიის გარდამავალი მეტალების ოქსიდები და სულფიდები დაბალი ჟანგვის ხარისხით ცვალებადი შედგენილობის ფაზებია, რომლებსაც არაა სამართლიანი შედგენილობის მუდმივობის და ჯერად ფარდობათა კანონები. მათი ნაერთები უმეტესად შეფერილია და ნაკლებად მდგრადი, ვიდრე მთავარი ქვეჯგუფის ელემენტთა ნაერთები. უფრო მდგრადებია იმ ელემენტების ნაერთები, რომელთაც ახასიათებთ  $d^5$ ,  $d^{10}$  ელექტრონული კონფიგურაციები. ამ ელემენტებზე და მათი ნაერთების თვისებებზე დიდ გავლენას ახდენს d-შეკუმშვის და ლანთანოიდური f- შეკუმშვის ეფექტები. სწორედ ლანთანოიდური კუმშვის გამო Zr და Hf ყველაზე მსგავსი წყვილია. სწავლების ბოლო ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს d-ელემენტების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

3d-სერიის ელემენტების ქიმიის სპეციფიკა: ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ სერიის ელემენტების ქიმიის მსგავსებაზე და განსხვავებაზე მძიმე ელემენტების (4d- და 5d-სერიის) ქიმიისგან: 3d-სერიის ყველა ელემენტისათვის (Sc-დან Zn-მდე) დამახასიათებელია ერთი ტიპის კათიონური აკვოკომპლექსები  $\Theta(H_2O)_6^{2+}$  და  $\Theta(H_2O)_6^{3+}$ , თვისებებით მსგავსი  $\Theta O$  ოქსიდები,  $\Theta(OH)_2$  ჰიდროქსიდები, სულფატები, სულფიდები, კათიონური, ანიონური და ნეიტრალური დაბალსპინური და მაღალსპინური კომპლექსების მრავალფეროვნება: ტეტრაედრული, ბრტყელ-კვადრატული, კვადრატულ-პირამიდული და ოქტაედრული კონფიგურაციით. 3d-სერიის მეტალების კოორდინაციული რიცხვი, როგორც წესი, უფრო დაბალია, ვიდრე მათი მძიმე ანალოგების, რაც ატომური (და იონური) რადიუსების განსხვავებით არის გამოწვეული. (მძიმე მეტალების რადიუსები 15-20 ნმ-ით მეტია). უმაღლესი ჟანგვის ხარისხში წარმოქმნიან პეროქსიდულ ნაერთებს, ხოლო დაბალი ჟანგვის ხარისხის დროს მარილმსგავს ჰალიდებს.

4d- და 5d-სერიების ელემენტებისათვის დამახასიათებელია ჟანგვის უმაღლესი ხარისხი, დაბალსპინური და ანიონური კომპლექსები. 3d-ჯგუფის მეტალებისგან განსხვავებით ამ ელემენტებს ახასიათებთ დიდი სწრაფვა ელექტრონების განყვილებისადმი, ამიტომ იშვიათად წარმოქმნიან მაღალსპინურ კომპლექსებს. პრაქტიკულად Pd(II)-ის და Pt(II)-ის თითქმის ყველა კომპლექსი დაბალსპინური და ბრტყელ-კვადრატულია; ამ ფორმის სტაბილიზაციას ხელს უწყობს ლიგანდების ველი. მძიმე (4d, 5d) გარდამავალი მეტალების ატომურ და იონურ რადიუსებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა, ამიტომ ისინი თითქმის ერთი ტიპის და ერთნაირი თვისებების მქონე ნაერთებს წარმოქმნიან: ფტორიდებს, ოქსიდორიდებს და მათ შესაბამის კომპლექსებს.

3d-სერიის გარდამავალი მეტალები 4d- და 5d- სერიების მეტალებისგან მაგნიტური თვისებებითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მძიმე მეტალებში სპინ-ორბიტალური ურთიერთქმედების გაძლიერების გამო, მაგნიტური მომენტების მიღებული მნიშვნელობები არ შეესაბამებიან მათ ატომებში გაუწყვილებელი ელექტრონების რიცხვს და ამავე დროს პარამაგნიტიზმი დამოკიდებული ხდება ტემპერატურაზე.

გარდა საერთო თვისებებისა, უნდა აღინიშნოს d-ელემენტების ცალკეული ჯგუფების სპეციფიკური თავისებურებანი. მაგალითად, Sc-ის ქიმია მსგავსია Al-ის, იტრიუმის – იშვიათ მინათა

მეტალების ქიმიის. ტიტანის ქვეჯგუფის ელემენტებისათვის დამახასიათებელია ოქსიდების, ნიტრიდების და კარბიდების მდგრადობა და ძნელღებობა, ტიტანატების და ცირკონატების უხსნადობა, მეტალების კოროზიული მდგრადობა. ვანადიუმის ქიმია გამოირჩევა ჟანგვის ხარისხის მრავალფეროვნებით, ნიობატებს, ვანადატებს და ტანტალატებს ახასიათებთ უხსნადობა და პოლიკონდენსაცია. ქრომის და მანგანუმის ქიმია ხასიათდება d<sup>5</sup>-სტრუქტურის ნაერთების მდგრადობით, უმაღლესი ჟანგვის ხარისხის ნაერთების უმდგრადობით და ჟანგვისუნარიანობით. VIII ჯგუფის d-ელემენტებისათვის უნდა აიხსნას მათი თვისებების მსგავსება; მათი, როგორც კომპლექსნარმოქმნელების აქტივობა და განსაკუთრებული კატალიზური თვისებები. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ I (B) ჯგუფის ელემენტებისთვის არაა დამახასიათებელი თვისებების მონოტონურობა. Cu თავისი თვისებებით Fe-ის მსგავსია, ოქროს ქიმია კომპლექსნაერთთა (ქლორიდების, ციანიდების) ქიმიას. ყურადღება უნდა მიექცეს Cu(I,II) და Ag(I) ჰალიდების სპეციფიკურ თვისებებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, თუთიის ქვეჯგუფის ქიმია, ის განსხვავდება ტიპური d-ელემენტების ქიმიისგან. d-ორბიტალების ქიმიურ ბმებში არ მონაწილეობის გამო. ყურადღება უნდა მიექცეს ამ ჯგუფის ელემენტების ნაერთების კოვალენტურ ბუნებას (განსაკუთრებით Hg-თვის).

დასკვნით ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს გარდამავალი ელემენტების კომპლექსნარმოქმნის უნარს, რადგან ხშირად მათი კომპლექსური ნაერთები გაცილებით მდგრადებია, ვიდრე ნარმოქმნელი მარტივი ნაერთები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. კლასტერები მათი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო: მათ აღმოაჩნდათ უნიკალური კატალიზური აქტივობა, ჰეტერომეტალური კლასტერებისგან შესაძლებელი გახდა აუდიო და ვიდეოტექნიკაში გამოყენებული ჰომოგენური, ულტრადისპერსიული შენადნობების დამზადება და კლასტერების გამოყენებით მიმდინარე პროცესებით შესაძლებელი გახდა ნავთობის დესულფირება, რაც მეტად მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემაა.

**f-ელემენტების სწავლების სპეციფიკა.** f-ელემენტების (ლანთანოიდების და აქტინოიდების) განლაგება პერიოდულ სისტემაში და მათი ვალენტური მდგომარეობა განპირობებულია  $(n-2)f$  და  $(n-1)d$  ( $n=6,7$ ) ორბიტალების ენერგეტიკული მდგომარეობის სიახლოვით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლანთანოიდები ბუნებაში საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ ძალიან გაფანტულნი არიან, დაახლოებით 250 მინერალის შემადგენლობაშია აღმოჩენილი და ძირითადად ერთად მოიპოვებიან. რაც შეეხება აქტინოიდებს, ისინი ყველა რადიოაქტიურია, ამიტომ ბუნებაში გვხვდება მხოლოდ თორიუმი, პროტაქტინიუმი და ურანი (მათი იზოტოპების დიდი ნახევარდაშლის პერიოდის გამო), დანარჩენები კი მიღებულია ხელოვნურად, ბირთვული რეაქციებით უკანასკნელი 60-70 წლის განმავლობაში.

ლანთანოიდებში 4f- და 5d-ორბიტალების ენერგიების მცირე განსხვავების გამო, თითო ან ზოგჯერ ორი (მაგ., Ce-Si) 4f-ელექტრონი ადვილად აღიგზნება, გადადის 5d-ორბიტალზე, ამიტომ მათი ჟანგვის ხარისხი უმეტესად +3-ია და არა +2, რითაც ემსგავსებიან Sc-ის ქვეჯგუფის ელემენტებს. თავისუფალ მდგომარეობაში ტიპური მეტალებია, მათი ოქსიდები და ჰიდროქსიდები ფუძე ბუნებისაა.

აქტინოიდებში 5f- და 6d-ორბიტალები ენერგეტიკულად კიდევ უფრო ახლოს არის ერთმანეთთან, ამიტომ მათი პირველი ნევრების 5f-ელექტრონები უფრო ადვილად გადადიან 6d-ორბიტალზე და Th-დან U-მდე ჟანგვის ხარისხი იზრდება +4-დან +6-მდე. მომდევნო ელემენტებში ხდება 5f-ორბიტალის ენერგეტიკული სტაბილიზაცია, ელექტრონების აგზნება მოითხოვს მეტ ენერგიას, რის გამოც ჟანგვის ხარისხი მცირდება +3-მდე. მიუხედავად მათი ატომების უმდგრადობისა, ამ რიგის პირველი შვიდი ელემენტის ოქსიდები, ჰალიდები, ჰიდროქსიდები  $\text{E}(\text{OH})_3$  – ფუძე ბუნებისაა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. კერძოდ  $^{234}\text{U}$  და  $^{235}\text{U}$ -ის გამოყენებაზე ბირთვულ რეაქტორებში, რაც ენერგიის წყაროცაა და ატომური ბომბის მოქმედების საფუძველიც, აგრეთვე  $^{238}\text{U}$ -დან პლუტონიუმის ( $^{239}\text{Pu}$ ) მიღებაზე, რომელიც ასევე გამოიყენება ბირთვულ რეაქტორებში.

## ლიტერატურა

1. F. Albert Cotton, Geoffrey Wilkinson, Paul L. Basic Inorganic Chemistry. Moscow. Jon Willey & Sons, Inc. 1995.
2. Ахметов Н. С., Общая и неорганическая химия. М., Химия, 2005.
3. Дж.Хюй, Неорганическая химия. Структура вещества и реакционная способность. М., 1987.
4. Архангельский С.И., Лекции по теории обучения в высшей школе. М., 1982.

5. Научные основы преподавания химии в высшей школе (под ред.Талызиной Н.Ф.), М., Изд-во МГУ, 1988.
6. Ахметов Н.С., Общая и неорганическая химия. М., ВШ, 2004.
7. Глинка Н.Л., Общая химия. Л. Издательство «Интеграл-Пресс», 2005.

**METHODICAL RECOMMENDATIONS FOR TEACHING BACHELOR  
COURSES OF d- AND f-ELEMENTS CHEMISTRY**

**Z. MACHAIDZE, K. GIORGADZE**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The methodics of university courses teaching of d- and f-elements chemistry has been worked out. Methodical recommendations are appealed for d- and f-groups and also for concrete elements with specific characteristics.

## ქიმიური ბმის სპეციფიკა მატალოცენაში

### ა. ბიბინაიშვილი, თ. ლოჭანიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში ითვლებოდა, რომ ქიმიური ბმა მეტალი – ნახშირბადი მეტალორგანულ ნაერთებში უმდგრადი იყო. თუმცა ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. უბრალოდ, ქიმიკოსებმა მაშინ არ იცოდნენ ასეთი ნაერთების მიღება და არ იცოდნენ, თუ როგორ შეიძლებოდა ამ ბმის სტაბილიზება. რევოლუცია მოხდა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სინთეზირებული იქნა ფეროცენი –  $\text{Fe}(\text{C}_5\text{H}_5)_2$ . ამ აღმოჩენის ავტორები ცდილობდნენ მიეღოთ  $\text{H}_5\text{C}_5\text{-Fe-C}_5\text{H}_5$  ტიპის ნაერთი ჩვეულებრივი Fe-C ბმებით და ვინაიდან მაშინ ცნობილი იყო, რომ ასეთი ბმები გარდამავალი მეტალების მონანილეობით არამდგრადია, უაღრესად გაკვირვებულნი დარჩნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მათ მიერ მიღებული ნაერთი განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩეოდა (იგი იშლებოდა მხოლოდ  $400^\circ\text{C}$ -ის ზევით). მაგრამ როდესაც ამ ნივთიერების სტრუქტურა იქნა დადგენილი, აღმოჩნდა, რომ მას გააჩნია „სენდივიჩისებური“ ფორმა, სადაც ციკლოპენტადიენილის ბირთვები ერთმანეთის პარალელურად მდებარეობენ, რკინის ატომი კი იმყოფება მათ შორის და თანაბრად დაცილებული ნახშირბადის ათივე ატომისაგან. რამდენიმე წლის შემდეგ დასინთეზებულ იქნა დიბენზოლქრომი  $\text{Cr}(\text{C}_6\text{H}_6)_2$ , რომელსაც ანალოგიური „სენდივიჩისებური“ აღნაგობა გააჩნია და მოიცავს 12 ერთი და იგივე სიგრძის Cr-C ბმას. ამის შემდეგ მიღებული იქნა თითქმის ყველა გარდამავალი (და ბევრი არაგარდამავალი) ელემენტის შესაძლებელი კომპლექსი თითქმის ყველა უჯერ ორგანულ ლიგანდთან: ოლეფინების, აცეტილენების, ალილების, მონოციკლური  $\text{C}_n\text{H}_n$  ( $n=3-8$ ) და პოლიციკლური ნახშირწყალბადების და ასევე მათი მრავალრიცხოვანი წარმოებულების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სამუშაოებისთვის ინგლისელმა ქიმიკოსმა ჯეფრი უილკინსონმა და გერმანელმა ქიმიკოსმა ერნსტ ოტო ფიშერმა 1973 წელს ნობელის პრემია მიიღეს.

ყველა აღნიშნული კომპლექსის განსაკუთრებული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური ატომი, როგორც წესი, დაკავშირებულია ნახშირბადის არა ერთ, არამედ ერთდროულად რამდენიმე ატომთან და ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ცენტრალური ატომის მრავალცენტრიანი ბმები ორგანული ლიგანდის ფრაგმენტთან (როგორც ეს ფეროცენისა და დიბენზოლქრომის შემთხვევაშია). ნათელია, რომ თუ ლიგანდის როლში გამოდის შევსებული ელექტრონული გარსების მქონე ნეიტრალური მოლეკულა (ეთილენი, აცეტილენი, ბენზოლი და ა.შ.), მაშინ ყველა ბმას – მეტალ-ლიგანდი – აქვს დონორულ-აქცეპტორული ან დატიური ხასიათი (კოვალენტური ბმები კი საერთოდ არ წარმოიქმნება). ამრიგად, ყველა მსგავსი ნაერთი წარმოადგენს კოორდინაციულ ნაერთს (თუმცა ზოგიერთ მათგანში გვხვდება ასევე ჩვეულებრივი ორელექტრონიანი σ-ბმებიც M-C, რომლებიც შესაფერისი ლიგანდების გარემოცვაში ასევე შეიძლება მეტად სტაბილური აღმოჩნდნენ). ვინაიდან უჯერ ორგანულ ლიგანდებში მოსაზღვრე ელექტრონული დონეები (ზედა შევსებული და ქვედა ვაკანტური) აგებულია π ტიპის ორბიტალებისგან, ამ ლიგანდების შესაბამისი კოორდინაციული ნაერთები იწოდებიან ასევე π-კომპლექსებად.

განვიხილოთ ყველა ეს ასპექტი ფეროცენისა  $\text{Fe}(\text{C}_5\text{H}_5)_2$  და გარდამავალი მეტალების სხვა „სენდივიჩისებური“ კომპლექსების მაგალითზე.

როგორც კი დადგინდა, რომ ფეროცენს გააჩნია უჩვეულო, „სენდივიჩისებური“ სტრუქტურა, დაიწყო მისი მოლეკულის კვანტურ-მექანიკური გათვლები. უკანასკნელ დრომდე ყველა გათვლა უნებურად ნახევრად ემპირიულ ხასიათს ატარებდა.

დადგენილ იქნა, რომ ფეროცენის მოლეკულაში ყველა Fe-C ბმის სიგრძე ერთნაირია, ამიტომ აუცილებელია განხილული იქნას რკინის ატომის ბმები  $\text{C}_5\text{H}_5$ -ის ბირთვთან მთლიანობაში. იმ შემთხვევაში კი, თუ შემოვიფარგლებით  $\text{C}_5\text{H}_5$  ბირთვის π-გარსით, მოსალოდნელია სამივე შესაძლებელი ტიპის Fe-( $\text{C}_5\text{H}_5$ ) ბმების წარმოქმნა: – კოვალენტურის, დონორულ-აქცეპტორულის და დატიურის, რამეთუ  $\text{C}_5\text{H}_5$ -ის ბირთვში გვაქვს ერთი გაუნყვილებელი ელექტრონი, ორი ვაკანტური π-ორბიტალი და ორი გაუზიარებელი π-ელექტრონული წყვილი.

ინგლისელი და ამერიკელი მკვლევრები ფეროცენში არსებული ბმების ბუნების ასახსნელად უპირატესობას ანიჭებენ მოლეკულური ორბიტალების თეორიას, რომელიც მოწოდებულია მოფიტის მიერ. ამ თვალსაზრისის მიხედვით რკინის ატომსა და ციკლოპენტადიენის ბირთვებს


შორის ადგილი აქვს მხოლოდ ერთი დელოკალიზებული კოვალენტური ბმის წარმოქმნას. ამ მოსაზრების გასაგებად და იმისათვის, რომ აღინეროს ბმების წარმოქმნა ფეროცენში, საჭიროა ცალ-ცალკე იქნას განხილული რკინის ატომისა და ორგანული ლიგანდის – ციკლოპენტადიენილის ორბიტალები. ჯერ განვიხილოთ მეტალის ატომის ორბიტალები. რკინის ატომის ძირითადი მდგომარეობის ელექტრონული კონფიგურაცია (სავალენტო შრის) გამოისახება შემდეგნაირად:

$$3d^2_z^2 3d^1_{x^2-y^2} 3d^1_{xy} 3d^1_{xz} 3d^1_{yz} 4s^2 4p^0_x 4p^0_y 4p^0_z$$

სიმეტრიის თვალსაზრისით  $3dz^2$  და  $4s$  ორბიტალებს გააჩნიათ ერთი და იგივე თვისება: ორივე მათგანი ინვარიანტულია (ე.ი.უცვლელია) ატომბირთვის გარშემო ინვერსიისა და  $z$  ღერძის გარშემო ბრუნვის მიმართ, თუ  $z$  ღერძად ჩავთვლით მიმართულებას  $C_5H_5-Fe-C_5H_5$  ბმების გასწვრივ (ე.ი. ციკლოპენტადიენის ბირთვებისა და რკინის ატომის შემაერთებული სწორის), მაშინ ორივე აღნიშნული ორბიტალი მოთავსებული იქნება მაღალი ელექტრონული სიმკვრივის უბანში, ამიტომ მათი ენერგია გაიზრდება, რაც გამოიწვევს მათ დესტაბილიზაციას. თუმცა, ვინაიდან იონებს გააჩნიათ ერთნაირი სიმეტრია და დაახლოებით თანაბარი მდგრადობა (რაც იონიზაციის ენერგიით განისაზღვრება), მათ შეუძლიათ წარმოქმნან ორი ახალი ჰიბრიდული ორბიტალი –  $(ds)_1$  და  $(ds)_2$ :

$$\chi(ds)_1 = \Psi(3dz^2) + \Psi(4s)$$

$$\chi(ds)_2 = \Psi(3dz^2) - \Psi(4s)$$




ნახაზი 1. ჰიბრიდული  $(ds)_1$  (ა) და  $(ds)_2$  (ბ) ორბიტალების წარმოქმნა

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია ამ ჰიბრიდული ორბიტალების სასაზღვრო ზედაპირები.

როგორც ვხედავთ,  $(ds)_2$ -ორბიტალი ძლიერ არის გადაწეული მაღალი ელექტრონული სიმკვრივის უბნიდან, რომელსაც ქმნიან ციკლოპენტადიენის ბირთვები; მაშინ, როდესაც  $(ds)_1$  ორბიტალი ამ უბანში იმყოფება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველი ორბიტალი  $(ds)_2$ , მეორესთან შედარებით მეტადაა სტაბილიზებული ამიტომ მასზე მოთავსდება ორი ელექტრონი. ამრიგად, რკინის ატომის აგზნების შემდეგ  $3dz^2$  და  $4s$  ორბიტალების ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული ორი ჰიბრიდული ორბიტალიდან ელექტრონები თავსდებათ  $(ds)_2$  ორბიტალზე. ამასთანავე  $3dx^2-y^2$  და  $3dxy$  ორბიტალებზე ხდება ელექტრონების განყვილება და ფეროცენში რკინის ატომის ვალენტური მდგომარეობის შესაბამისი ელექტრონული კონფიგურაცია შეიძლება გამოისახოს ასე:

$$(ds)_2^2 3d^2_{x^2-y^2} 3d^2_{xy} 3d^1_{xz} 3d^1_{yz} 4p^0_x 4p^0_y 4p^0_z (ds)_1^0$$




ნახაზი 2.  $C_5H_5$ -ის მოლეკულური ორბიტალები



ახლა განვიხილოთ ციკლოპენტადიენის რადიკალების ორბიტალები. ჰიუკელის მოლეკულური ორბიტალების თეორიის თანახმად,  $\pi$ -ელექტრონებისათვის ციკლოპენტადიენის რადიკალში არსებობს სამი დამაკავშირებელი და ორი გამთიშავი მოლეკულური ორბიტალი (ნახ.2).

ამ ნახაზზე ყველაზე ძლიერი დამაკავშირებელი ორბიტალი აღნიშნულია  $\varphi_0$ -ით. მას არ გააჩნია ინვერსიის ცენტრი (ე.ი. არ იცვლის ფაზის ნიშანს). შედარებით მდგრადი ორბიტალებია გადაგვარებული ორბიტალების წყვილი –  $\varphi_{+1}$  და  $\varphi_{-1}$ . თითოეულ მათგანს გააჩნია თითო ინვერსიის ცენტრი, რომელიც მდებარეობს ბირთვის სიბრტყის პერპენდიკულარულ სიბრტყეში; ციკლოპენტადიენის ბირთვებს კიდევ გააჩნიათ უფრო მაღალი ენერგიის მქონე ორჯერ გადაგვარებული ორბიტალების წყვილი –  $\varphi_{+2}$  და  $\varphi_{-2}$ , რომელთაგან თითოეულს ორი ინვერსიის ცენტრი აქვს ბირთვის სიბრტყის მიმართ პერპენდიკულარულ სიბრტყეში. ამრიგად,  $C_2H_5$  ბირთვების ძირითადი მდგომარეობა თავისთავად ორჯერაა გადაგვარებული, რაც შეიძლება ასე გამოისახოს:

$$(\varphi_0)^2(\varphi_{+1})^2(\varphi_{-1})^1 \text{ და } (\varphi_0)^2(\varphi_{+1})^1(\varphi_{-1})^2$$



### ნახაზი 3. ფეროცენში არსებული ბმების ენერგეტიკული დიაგრამა

შევარჩიოთ ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად პირველი. ახლა განვიხილოთ, თუ როგორი ბმებია თვითონ ფეროცენში. დიაგრამის სახით ისინი მოცემულია ნახ. 3.

აქ გამოსახულია მეტალის,  $C_2H_5$  რადიკალების და თვითონ ფეროცენის ორბიტალების ენერგეტიკული განლაგების შესაძლებელი რიგი.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, თითოეული  $C_2H_5$  ბირთვი მეტალთან დაკავშირებულია ერთი კოვალენტური ბმით, რომელიც წარმოიქმნება ერთელექტრონიანი  $\varphi_{-1}$  ორბიტალის გადაფარვით მეტალის ერთელექტრონიან  $3d_{xz}$  ან  $3d_{yz}$  ორბიტალთან, ვინაიდან ამ ორბიტალებს გააჩნიათ ერთნაირი სიმეტრია, ანუ ინვერსიის ერთი ცენტრი  $xy$  სიბრტყეში და ერთნაირი ენერგია.  $z$  ღერძის მიმართ ამ ბმებს გააჩნიათ  $\pi$  სიმეტრია.

ზემოაღნიშნული ბმების წარმოქმნაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლიათ ორ სხვა სახის ბმებსაც:

ა) კოორდინაციული  $\sigma$ -ბმა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას თითოეული ბირთვის  $\varphi_0$  - ორბიტალების ორი ელექტრონისა და რკინის ატომის თავისუფალი  $4p$  ორბიტალების ხარჯზე, რომელთაც ერთნაირი სიმეტრია გააჩნიათ. მაგრამ ვინაიდან ამ ორბიტალების ენერგიებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია (ნახ.3), ეს ბმა სუსტი იქნება.

ბ) რკინის ატომის და  $3d^2x^2-y^2$ -ორბიტალებიდან ორ-ორი ელექტრონი შეიძლება გადავიდეს  $C_2H_5$  რადიკალების თავისუფალ  $\varphi_{+2}$  და  $\varphi_{-2}$  ორბიტალებზე. ვინაიდან ორბიტალების ამ ორივე ჯგუფს გააჩნია ინვერსიის ორი ცენტრი ბმის ღერძის პერპენდიკულარულ  $xy$ -სიბრტყეში, ეს ბმები შეიძლება აღინეროს, როგორც  $\sigma$  ბმები.

ბმის ეს ტიპი შეესაბამება ელექტრონების უკუგადატანას მეტალიდან ბირთვზე, რაც გარკვეული ხარისხით აკომპენსირებს ბირთვის მაკავშირებელი ორბიტალების დონორულ თვისებებს.

ამრიგად, რკინის ატომის ყველა  $3d$ -ორბიტალი შევსებული გამოდის; შესაბამისად, ნაერთი უნდა იყოს დიამაგნიტური, რაც მართლაც დამტკიცებულია ექსპერიმენტულად.

იმისათვის, რათა ციკლოპენტადიენისა და სხვა ანალოგიური ნახშირწყალბადების სენდვიჩის ტიპის ნაერთები, რომლებშიც ბმები  $\pi$  ელექტრონების მონაწილეობით წარმოიქმნება, განახსვან სხვა ტიპის, ოლონდ ლიგანდების შემცველი ნაერთებისაგან, სენდვიჩის ტიპის ნაერთების დასახელებაში ჩართულია წინდებული  $\pi$ -; მაგალითად, ფეროცენი იწოდება ბის-( $\pi$ -ციკლოპენტადიენილ)რკინა(II)-ად.

### ლიტერატურა

1. Cotton F., Wilkinson G., Gausl. Basic Inorganic Chemistry. Willey & Sons, New York, at.al. 1995.
2. Дж. Колмен, Л. Хигедас, Дж. Нортон, Р. Фанке. «Металлоорганическая химия переходных металлов», т. 2. Изд. «Мир». 1989.
3. Е.М. Мустерович, «Химическая связь в Координационных соединениях». Издательство «Знание». Москва, 1998.
4. ლ. ასათიანი, ე. თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი, „ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი“. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004, 355 გვ.

## SPECIFIC CHARACTER OF CHEMICAL BONDING IN METALLOCENES

E. GIGINEISHVILI, T. LOBZHANIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### Summary

Specific character of chemical bonding in metallocenes has been discussed providing the case of ferrocene molecule as a relevant example. Atomic structure of iron and detailed characterization of cyclopentadiene nuclei molecular orbitals have been presented. Based on this information and using assumptions of molecular orbitals' theory, formation of molecular orbitals for ferrocene molecule has been described. It has been mentioned that not only covalent but also coordination n- and dative bonds have been detected in a ferrocene molecule.

**ALGEBRAIC-CHEMICAL INVESTIGATION  
OF CARBONATES OF GROUP II S ELEMENTS**

**M. GVERDTSITELI, G. CHACHAVA**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University


Contiguity matrices of molecular graphs and their modifications are widely used in algebraic chemistry[1]. Quasi-ANB-matrix ( $\tilde{ANB}$ ) is one of the type of modified contiguity matrices. Its diagonal elements represent the sumps of atomic numbers of chemical elements – which structural fragments of molecule contain; nondiagonal elements are multiplicities of chemical bonds [2].

The data of  $\Delta G_{298}^0$  of decomposition (kJ/mol) [3] and corresponding values of  $\Delta_{\tilde{ANB}}$  for carbonates of group II s are represented in the following table:

**Table**

Carbonate	$\Delta G_{298}^0$ (kJ/mol)	$\Delta_{\tilde{ANB}}$
BeCO <sub>3</sub>	-30	116
MgCO <sub>3</sub>	65	356
CaCO <sub>3</sub>	130	596
SrCO <sub>3</sub>	183	1196
BaCO <sub>3</sub>	216	1676

The simplest model was elaborated for carbonates:



where M is the element of II group s, X – CO<sub>3</sub>. Corresponding  $\tilde{ANB}$  matrix has a form:

$$\begin{vmatrix} Z_M & 2 \\ 2Z_{CO_3} & \end{vmatrix} \quad (2)$$

Correlation equation  $\Delta G_{298}^0 \sim \Delta_{\tilde{ANB}}$  was constructed on computer and it has a form:

$$\Delta G_{298}^0 = 236.00 \lg(\Delta_{\tilde{ANB}}) - 536.80 \quad (3)$$

Correlation coefficient r is equal to r=0.978. Thus, correlation is satisfactory (according to Japhe's criterion).

**References:**

1. Rourvay P.R. Chemical application of Topology and Graph Theory / Ed. A. T. Baluban. Amsterdam, 1983.
2. Gverdtsiteli M., Gamziani G., Gverdtsiteli I. The Contiguity Matrices of Molecular Graphs and their Modifications. Tbilisi, 1996.
3. Akhmetov N. General and Inorganic Chemistry. Moscow, 1983.

**II ჯგუფის s-ელემენტების კარბონატების  
ალგებრულ-ქიმიური გამოკვლევა**

**მ. გვარდნითელი, გ. ჩაჩავა**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქვაზი-რნბ-მატრიცების მეთოდის ფარგლებში შესწავლილია კორელაცია „სტრუქტურა-თვისებები“ II ჯგუფის s-ელემენტების კარბონატებისათვის. გამოთვლებით დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნული კორელაცია დამაკმაყოფილებელია.

**ALGEBRAIC-CHEMICAL INVESTIGATION OF CORRELATIONS “STRUCTURE-PROPERTIES” FOR HYDRIDES OF GROUP VI P-ELEMENTS**

**M. I. GVERDTSITELI, G. N. CHACHAVA, I. A. LAPERASHVILI**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Correlations “structure-properties” are investigated for hydrides of group VI p- elements within the scope of ANB-matrices method. The calculations show that correlations are satisfactory.

Contiguity matrices of molecular graphs and their various modifications are widely used in algebraic chemistry for the investigation of molecules and their transformations and ANB-matrices fall into their type [1, 2].

The diagonal elements of ANB-matrix are atomic numbers of chemical elements, whereas nondiagonal ones – the multiplicities of chemical bonds.

The hydrides of Group VI p -elements have the general formuluss:  $H - X - H$  (1)

where:  $X \equiv O, S, Se, Te$ .

Correspondingly ANB-matrix has the form:

$$\begin{vmatrix} 1 & 1 & 0 \\ 1 & Z_x & 1 \\ 0 & 1 & 1 \end{vmatrix} \quad (2)$$

The value of decimal logarithm of the determinant of ANB-matrix is effective topological index [3]. Two correlation equations were constructed:

$$\Delta H_f^0 = 150.00 \lg(\Delta_{ANB}) - 193.50 \quad (3)$$

$$\Delta G_f^0 = 148.60 \lg(\Delta_{ANB}) - 203.69 \quad (4)$$

The correlation coefficients r are equal:  $r=0.983$ ;  $r=0.981$ .

Thus, in accordance with Jaffe’s criterion [4], correlations are satisfactory.

**References**

1. M.Gverdtsiteli, G.Gamziani, I.Gverdtsiteli.The Contiguity Matrices of Molecular Graphs and their Modification.Tbilisi,1996.
2. M.G. Gverdtsiteli, D. S. Tugushi, M. I. Gverdtsiteli. Correlations “Structure-properties” in Algebraic Chemistry. Tbilisi, 1997.
3. G. Gamziani, N. Kobakhidze, M. Gverdtsiteli – Topological Indexes. Tbilisi, 1995.
4. M. Gverdtsiteli. Physical-Organic Chemistry. Tbilisi, 1982.

**კორელაციის „სტრუქტურა-თვისებები“ ალგებრულ-ქიმიური  
გამოკვლევა VI ჯგუფის p-ელემენტების ჰიდრიდებისათვის**

**მ. გვერდსთელი, გ. ჩაჩავა, ი. ლაპერაშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

რნბ-მატრიცების მეთოდის ფარგლებში ჩატარებულია კორელაციების „სტრუქტურა-თვისებები“ ალგებრულ-ქიმიური გამოკვლევა VI ჯგუფის p-ელემენტების ჰიდრიდებისათვის. მიღებულია დამაკმაყოფილებელი კორელაცია.

## კვალი ნათელი

გამორჩენილი ქართველი მეცნიერი, ქიმიის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, კოორდინაციული ქიმიის გამორჩეული მკვლევარი, ამ დარგში ქართული მეცნიერული სკოლის დამაარსებელი და მეთაური, ახლგაზრდა მკვლევართა და სპეციალისტთა ღირსეული აღმზრდელი გივი ვასილის ძე ცინცაძე დაიბადა 1933 წლის 18 აპრილს თბილისში.

საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. სწრაფვა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისაკენ, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება განსაზღვრა, სწორედ იმ წლებში იღებს სათავეს. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის გეოქიმიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად.

1961 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – სტუ) ასპირანტურაში და მივლინებული იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში, კრისტალოქიმიის ლაბორატორიაში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტთან მ. პორაი-კოშიცთან, რომლის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაბრუნებისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად შეუდგა ფართო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მის მიერვე შექმნილ კრისტალოქიმიისა და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის და ბიოარაორგანული ქიმიის ლაბორატორიებში. სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად მივლინებული იყო კიევში, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1971 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლითონების ციანიტური, თიოციანიტური და სელენოციანიტური ნაერთების გამოკვლევა“. 1973 წელს მიანიჭეს პროფესორის წოდება.

ფართო და მასშტაბურია მისი მეცნიერული კვლევების დიაპაზონი.

გივი ცინცაძის სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთ, ძირითად სფეროს ბიოლოგიურად აქტიურ ორგანულ ლიგანდებთან მეტალთა კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და სპექტროქიმიური კვლევა შეადგენს. იმ სპექტროსკოპიის, რენტგენოსტრუქტურული ანალიზის, კვანტურ-ქიმიური კვლევების გამოყენება თანამედროვე კოორდინაციულ ქიმიაში, კოორდინაციული ნაერთების სინთეზისადმი ახალი მიდგომების შემუშავება გივი ცინცაძისა და მისი სკოლის სახელს უკავშირდება. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა შრომებმა მიკროელემენტებისა და სამკურნალო საშუალებების, ბიოკომპლექსების სინთეზისა და ფიზიკურ-ქიმიური კვლევის სფეროში. მან ერთ-ერთმა პირველმა შეაფასა, თუ რა მნიშვნელობა აქვს რენტგენოსტრუქტურული ანალიზისა და რხევითი სპექტროსკოპიის მეთოდების შერწყმას – არაორგანული და კოორდინაციული ნაერთების აგებულების, თვისებებისა და რეაქციისუნარიანობის შესწავლაში გამოსაყენებლად. მის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგები დარგის მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი და ფართოდაა ციტირებული როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთულ რეიტინგულ გამოცემებში. იგი არის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის ისტორიაში წარმოებული საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევების ციკლისა.

გივი ცინცაძეს უდიდესი დამსახურება მიუძღვის არა მარტო ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარებაში, რომელთაც იგი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ნაყოფიერად წარმართავდა, არამედ კოორდინაციული ქიმიის ქართული სამეცნიერო სკოლის შექმნაში.

2004 წელს საქართველოს ქიმიური საზოგადოების ინიციატივით დაფუძნდა „ახლგაზრდა ქიმიკოსთა გივი ცინცაძის სკოლა“, რომელიც ახალგაზრდა მკვლევართა სწორი სამეცნიერო ორიენტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის არის გამიზნული.

ბატონ გივის გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარი აქვს. წლების მანძილზე იგი მოღვაწეობდა უმაღლესი სკოლის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1971-1974 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე, 1974-1992 წლებში – ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე. 1992-1997 წლებში ასრულებდა ამავე უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ხოლო ამ ინსტიტუტის ფაკულტეტად გადაკეთების შემდეგ – მისი დეკანის მოვალეობას. 1997-2004 წლებში კვლავ ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას. ამჟამად ამ მიმართულების სრული პროფესორია და კვლავ აქტიურ, მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა. პარალელურად ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსური ნაერთების ლაბო-

პერსონალია  
Personnel

რატორიას და რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიას. ბატონი გივი არის შესანიშნავი ლექტორი. მას აუდიტორიის დაინტერესების და მოხიბლვის საოცარი უნარი გააჩნია. იგი ლექციებს კითხულობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე პროფესორმა გივი ცინცაძემ გამოაქვეყნა ასეულობით სამეცნიერო შრომა, რომელთა შორის 7 მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო და გამოგონების 7 საავტორო მოწმობაა. მისი ხელმძღვანელობით თუ კონსულტირებით 50-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი აღიზარდა, რომელთაგან ბევრი საზღვარგარეთ, მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობს.

გივი ცინცაძე, წლების მანძილზე, საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებდა და ასრულებს სხვადასხვა საორგანიზაციო საქმიანობას, იგი იყო და არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და პროფესორთა საბჭოს წევრი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ამავე აკადემიის „მაცნეს“ (ქიმიის სერია) სარედაქციო კოლეგიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვა.

გივი ცინცაძე მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის, სემინარის და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია.

დიდია ბატონი გივის დამსახურება საშუალო და უმაღლეს სკოლებში ქიმიის სწავლების სრულყოფის, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

2003 წელს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით და ღირსების ორდენით.

2005 წელს აირჩიეს ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. აღსანიშნავია, რომ ამ საპატიო წოდებას მსოფლიოს სხვა გამოჩენილ სწავლულ ქიმიკოსებთან (ნიკოლოზ ზინინი, დიმიტრი მენდელეევი, ჟაკ-ფრანსუაზ დიპა და სხვ.) ერთად საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, ალექსანდრე ბუტლეროვი ატარებდა, რაც ბატონი გივის დიდ საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს.

**ვულოცავთ ბატონ გივი ცინცაძეს დაბადებიდან 75-ე წლისთავს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალ წარმატებულ წელს.**

ნოდარ ლეკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ქიმიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ავანგარდული მასალების მსოფლიო ფორუმის (POLYCHAR) სამეცნიერო კომიტეტის წევრი, პეტრე მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი

ნონა ბოლქვაძე,

ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი

გამომცემლობის რედაქტორი **მაია ეჯიბია**  
გარეკანი **თინათინ ჩირინაშვილი**  
კომპ. უზრუნველყოფა **ხათუთა ბადრიძე**

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) (25-14-32)